ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N1

17 ნოემბერი, 2017 წელი ქ. თბილისი,
თავისუფლების მოედანი N2

13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ნ. ვაჩეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. გიორგი ახვლედიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე წევრი;
2. რამინა ბერაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. თემურ გორგაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ჯაბა ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ლევან ხაბეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. დავით ჟღენტი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ფრიდონ ინჯია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. გიორგი ბირბიჩაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. დავით უჯმაჯურიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. გიორგი მუსხელიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. ლილე ლიპარტელიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. ლევან ჟორჟოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. ილია ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. ქეთევან მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
20. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

21. მარინა დათუკიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
22. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
23. გიორგი გაბაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
24. თევდორე ისაკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
25. დავით რურუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
26. თინათინ ნიბლოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
27. მიხეილ ამაშუკელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
28. ლევან დარახველიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
29. ოთარ გრიგოლია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
30. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
31. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
32. გოჩა თევდორაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ირაკლი ხმალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ (ვიცე-მერი) წარდგენილი კანდიდატი;
2. ირაკლი ბენდელიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი;
3. გიგა ნიკოლეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი;
4. მაია ბითაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი;
5. ვლადიმერ ჭიღლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
6. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
7. გიორგი ბაგრატიონი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
8. სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
9. გივი კუბლაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
10. მამუკა მუმლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
11. სოფიო ხუნწარია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
12. გელა ჩივიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;

13. გიორგი პაპავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
14. გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
15. ანდრია ბასილაია - ქალაქ თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
16. ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
17. ნიკოლოზ ჭონქაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
18. გაიოზ ვასაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
19. დავით კირკიტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
20. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
21. ნოდარ ტურძელაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
22. კახაბერ ლაბუჩიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
23. ზურაბ ჩიკვილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
24. ბექა მიქაუტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
25. ირმა ზავრადაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
26. ირაკლი ხელაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
27. დავით კერესელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლად წარდგენილი კანდიდატი;
28. ზაზა ცინაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
29. გოგი ჩიქოვანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
30. თამარ გოგიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
31. ხატია ხვისტანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის აპარატის მთავარი სპეციალისტი;
32. მედიის წარმომადგენლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი** თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-031731944-03);
   მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ (ვიცე-მერი) წარდგენილი კანდიდატი;

2. **საკითხი:** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბადრი გიორგიძის დანიშვნის თაობაზე თანხმობს მიცემის შესახებ (19-031732038-03).
   მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე
   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ტყემალაძე მიესალმა სხდომის დამსწრეთ და განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონი კახა კალაძეს მიერ საკრებულოში წარმოდგენილია ქ. თბილისის მერის მოადგილეების, მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ქ. თბილისის რაიონების გამგებელთა კანდიდატურები, რომლებიც მიმდინარე სხდომას ესწრებიან. საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, მან წარმოადგინა თბილისის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურა. მანვე დამატებით მიმართა სხდომის მონაწილეებს და სთხოვა, რომ ორიენტირებულნი იყვნენ საქმიან განხილვაზე, სადაც მოისმენენ წარმოდგენილი კანდიდატების მომავალ გეგმებსა და შეხედულებებს თავიანთი სამომავლო საქმიანობის შესახებ.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული საქართველო-თბილისის'' თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი გაბაშვილს, რომელმაც უკმაყოფილება გამოთქვა, რომ ქ. თბილისის ახალი მთავრობის წევრების წარდგენას არ ესწრება ახლადარჩეული მერი, ბატონი კახა კალაძე. მან განაცხადა, რომ ფრაქციას ჰქონდა მასთან შეკითხვები, თუ რატომ რჩებიან საკვანძო თანამდებობებზე ყოფილი მერის, ბატონი დავით ნარმანიას გუნდის წევრები, რომლებსაც თავად ბატონი კახა კალაძე აკრიტიკებდა წინასაარჩევნო პერიოდში. მან ასევე განაცხადა, რომ შეკითხვები აქვს ქ. თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო

სამსახურის უფროსად ბატონი ნიკოლოზ ჭონქაძის წარდგენასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მისი ინფორმაციით, იგი წარსულში სოციალურ ქსელში აქვეყნებდა სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს. ბატონმა გიორგი გაბაშვილმა, ასევე თქვა, რომ ფრაქციას ასევე ჰქონდა შეკითხვები, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს. კერძოდ: ტრანსპორტის, ფინანსების, კეთილმოწყობის საკთხები და სხვ. მისი განმარტებით, ახლადარჩეული მერისგან მოელოდნენ, რომ იგი დაესწრებოდა საკრებულოს სხდომას და წარმოადგენდა სამოქმედო გეგმას და დაახასიათებდა თბილისის მთავრობის წევრობის კანდიდატურებს. მან აღნიშნა, რომ თბილისის ყოფილმა მერმა, ბატონმა დავით ნარმანიამ თავად წარადგინა ქ. თბილისის მთავრობა საკრებულოს წინაშე.

ამის შემდგომ, ბატონმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ იგი არ დაესწრება წარმოდგენილი მთავრობის კანდიდატურების განხილვას და მოგვიანებით შემუერთდება ქ. თბილისის საკრებულოს სხდომას.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ტყემალაძემ. მან განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, მერს არ აქვს ვალდებულება, დაესწროს მის მიერ წარმოდგენილი კანდიდატების დამტკიცების სხდომას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დაგეგმილია თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნის საკითხის განხილვა, შესაბამისად, კითხვები უშუალოდ მათ უკავშირდება, თუ როგორ აპირებენ წინასაარჩევნოდ გაჟღერებული პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას. მისი თქმით, ყველა დასახელებული კანდიდატი ესწრება სხდომას, აქედან გამომდინარე, სხდომა წესების სრული დაცვით მიმდინარეობს.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ ბექა დავითულიანს, რომელმაც აღნიშნა, რომ კახა კალაძემ თბილისის მთავრობა პირადად უკვე წარადგინა საჯაროდ, საზოგადოების წინაშე და დაახასიათა ისინი, ისაუბრა მათ კვალიფიკაციაზე. ამის შემდეგ, ბატონმა კახა კალაძემ კანდიდატები საკრებულოს წარმოუდგინა წერილობით. ბატონმა ბექამ განმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტი სხვა დამატებით ვალდებულებას, წარდგენის პროცედურასთან დაკავშირებით, არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ქ. თბილისის მერს არ ჰქონდა რაიმე ვალდებულება მოსულიყო საკრებულოში. ბატონი ბექას განმარტებით, თბილისის მერს საზოგადოებასთან ურთიერთობის პრობლემა არასდროს ჰქონია.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ ლევან ხაბეიშვილს. მისი თქმით, კომუნიკაციაზე საუბრისას გასაკვირია, რომ ბატონი კახა კალაძე არ ესწრება ახლადწარდგენილი თბილისის მთავრობის დამტკიცების სხდომას საკრებულოში. მისი განმარტებით, თბილისის მერი ვალდებული იყო მოსულიყო საკრებულოს სხდომაზე და მოესმინა არჩევნების შედეგად უმცირესობაში მყოფი საკრებულოს წევრებისთვის. მისივე განმარტებით, ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' სხდომის დასრულებამდე დარჩება დარბაზში და წარდგენილ კანდიდატებს დაუსვამს მოსახლეობისთვის აქტუალურ შეკთხვებს. ბატონი ლევანის თქმით, თბილისის მთავრობის მომავალ კანდიდატებს შორისაა ისეთი, პირებიც, რომლებიც გამორჩევიან ჰომოფობიური და

ქსენოფობიური განცხადებებით, ზოგიერთს არ მოსწონს ის ფაქტი, რომ აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ქანდაკებაა განთავსებული თბილისის ცენტრში, ბუნებრივია, მათთან ფრაქციას არ ექნება შეკითხვები.

ბატონმა გიორგი ტყემალაძემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ ის ვერ იხსნებებს თბილისის საკრებულოს წინა სხდომას, სადაც უმრავლესობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ არ აინტერესებთ ოპოზიციის და უმცირესობის აზრი. პირიქით, წინა სხდომებზე აღინიშნა, რომ უმრავლესობა მზადაა კონსტრუქციულ რეჟიმში, საქმიან, თემატურ განხილვებში იყვნენ ღია, შესაბამისად, ბატონი გიორგი არ დაეთანხმა ბატონი ლევან ხაბეიშვილის გამოთქმულ მოსაზრებას. მანვე განმარტა, რომ თბილისის საკრებულოს აქვს მჭიდრო კომუნიკაცია თბილისის მერთან და მომავალშიც ასე იქნება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მოუწოდა სხდომაზე დამსწრეთ, გადასულიყვნენ საკითხის განხილვაზე.

სიტყვა გადაეცა ბატონ ირაკლი ნადირაძეს. იგი მიესალმა სხდომაზე დამსწრეთ, თბილისის მთავრობის წევრობის კანდიდატებს და ქ. თბილისის მერის საკრებულოში მოსვლასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ თბილისის მერი ბატონი კახა კალაძე ცუდად იწყებს მერობას. მისი თქმით, ქალაქში დაგროვილია ბევრი მწვავე შეკითხვა, რადგან ბევრი პრობლემაა დაგროვილი მიმდინარე წლების გამნავლობაში. მისივე თქმით, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' რჩება სხდომაზე და ელოდება კონკრეტულ კითხვებზე კონკრეტულ პასუხებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბატონმა ირაკლი ნადირაძემ წინა გამომგსვლელისგან განსხვავებული არაფერი თქვა, შესაბამისად, ყველა გამომსვლელის მიერ ერთსა და იმავე საკითხზე შეკითხვების დასმა და მათზე ერთი დ იგივე პასუხის გაცემა დროის დაკარგვაა და შესაბამისად, მოუწოდა გამომსვლელებს გადასულიყვნენ განხილვაზე.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ქალბატონ მარინა დათუკიშვილს. მან უკმაყოფილება დააფიქსირა თბილისის მერის, ბატონი კახა კალაძეს მიმართ საკრებულოს სხდომაზე არმოსვლის გამო. მანვე აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' აუცილებლად დასვამს მწვავე შეკთხვებს, რომლებიც ყველა კანდიდატს შეეხება, გარდა ერთისა, რომელიც მისი თქმით, ,,ფაშისტური'' ღირებულებებით გამოირჩევა. ,,ზოგიერთი შეკითხვა კანდიდატების მიმართულებით დაისმევა, მაგრამ ფრაქციას ჰქონდა სხვა შეკთხვებიც, რომლებიც კახა კალაძისთვის უნდა დაესვა და რადგან, იგია პასუხისმგებელი თბილისის მთავრობის წარმოდგენაზე, მასვე უნდა გაეცა პასუხები თუ რა კრიტერიუმებით შეარჩია თბილისის მთავრობის კანდიდატურები'' - განაცხადა გამომსვლელმა.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ ირაკლი ზარქუას. იგი მიესალმა სხდომაზე დამსწრეთ. მისი თქმით, საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლები ცდილობენ კონსტრუქციულად ითანამშრომლონ უმცირეობის წევრებთან, თუმცა, ისინი პოლიტიკური წარმოდგენის დადგმას აპირებდნენ. მისივე განმარტებით, დღეს თბილისს

ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის მქონე მერი ჰყავს. ამასთან, კახა კალაძემ პირადად, პრესის და ტელევიზიის მეშვეობითაც არაერთხელ აღნიშნა, რომ მას ოპოზიციასთან შეხვედრის პრობლემა არ აქვს, როდესაც ოპოზიცია კონსტრუქციული და საქმეზე ორიენტირებული იქნება. ბატონმა ირაკლიმ მიმართა საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლებს და მოუწოდა კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ დავით უთმელიძეს. მისი განმარტებით, კახა კალაძემ მერობის მოვალეობის შესრულება ხალხთან ახლო კომუნიკაციით დაიწყო, მან ერთი ღამე კრწანისში გაატარა, როდესაც ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა, მეორე ღამე კი - გაგარინის ქუჩაზე ერთ-ერთ საფრთხისშემცველ ობიექტთან, სადაც თბილისის მთავრობასთან ერთად ეცნობოდა სიტუაციას. მისი თქმით, კახა კალაძემ დაიწყო ხალხთან ურთიერთობით, რისთვისაც მადლობა გადაუხადა.

სიტყვა გადაეცა ბატონ ლევან ჯაფარიძეს. იგი დაეთანხმა წინა გამომსვლელს. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია არა ის, ვინ როგორ დაიწყებს, არამედ როგორ დაამთავრებს საქმიანობას. მანვე მოუწოდა სხდომაზე დამსწრეთ საქმიან რეჟიმში გადასვლისკენ.

ბატონმა გიორგი ტყემალაძემ მიმართა საკრებულოს კომისიათა გაერთიანებულ სხომაზე დამსწრე კომისიებს დაედასტურებინათ კვორუმის არსებობა, რაც მათ დაადასტურეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა ბატონ ირაკლი ხმალაძეს - თბილისის მერის პირველი მოადგილეობის კანდიდატს და განმარტა, რომ უმჯობესია მან ადგილიდანვე უპასუხოს დასმულ შეკითხვებს. საკრებულოს თავმჯდომარემ წაიკითხა თბილისის მთავრობის წევრთა კანდიდატურები და მათგან რომელი რა თანამდებობაზე იყო წარდგენილი.

ამის შემდგომ, საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსად ბატონი ბადრი გიორგიძის კანდიდატურა ქ. თბილისის საკრებულოს წარმოუდგინა უშუალოდ მან, კანონის შესაბამისად.

მანვე სიტყვა გადასცა მერის პირველი მოადგილის კანდიდატურად წარდგენილ ბატონ ირაკლი ხმალაძეს, რომელმაც მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, მიესალმა სხდომაზე დამსწრეთ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ქ. თბილისის მთავრობის ახალი შემადგენლობა, რომელიც დაასახელა ახლადარჩეულმა მერმა, ბატონმა კახა კალაძემ. მანვე აღნიშნა, რომ დამსწრეთ წარუდგენს ახალი გუნდის ოთხწლიან სამუშაო პროგრამას. ეს არის იმ ღონისძიებების, პროგრამების და პროექტების ჩამონათვალი, რომელსაც საზოგადოებამ მხარი დაუჭირა და წარმოდგენილი გუნდის თითოული წევრი მზადაა შეუდგეს სამუშაოების განხორციელებას.

ბატონი ირაკლის თქმით, წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში საზოგადოებას არაერთხელ წარედგინა გუნდის სამომავლო ხედვები - თუ რისი გაკეთება იგეგმებოდა მომდევნო წლების განმავლობაში. ესაა შვიდი ძირითადი მიმართულებ:

მისი თქმით, პირველი და უმთავრესია ურბანული პოლიტიკა. ბატონი ირაკლის განმარტებით, დედაქალაქი წლების განმავლობაში ელოდება მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის დამტკიცებას. მისი მიღება მარტივი არ აღმოჩნდა, თუმცა წარმოდგენილ გუნდს აქვს კონკრეტული გეგმები და შესწევს უნარი მიიღოს აღნიშნული დოკუმენტი. სამშენებლო ნორმების და სტანდარტების გამკაცრება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი გახდა და გუნდს უკვე შემუშავეული აქვს მიდგომები, თუ რა მიმართულებებით უნდა გამკაცრდეს ხსენებული სტანდარტები. ისტორიული უბნების და არეალების რეაბილიტაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობა, რომლებიც წლების განმავლობაში უნდა განხორციელდეს. საარჩევნო პერიოდში უკვე დასახელდა ის არეალები, რომელთა რეაბილიტაციაც განხორციელდება. სამუშაოების ღირებულება ასეულობით მილიონი ლარია, რის შედეგადაც, გაიზრდება ეკონომიკური აქტივობა, იზრდება ტურიზმი, უძრავი ქონების ღირებულება და შესაბამისი შემოსავალი დედაქალაქის მცხოვრებთათვის. ახალი გუნდი აპირებს 1700-მდე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის და ძეგლის რეაბილიტაციასა და დაცვას, რაც ყველაზე მთავარია, დედაქალაქში დამკვიდრდება ახალი ვიზუალური სტანდარტები, რომელსაც საზოგადოება პოზიტიურად ეხმაურება.

ურბანული პოლიტიკის შემდეგ ბატონმა ირაკლიმ საუბარი განაგრძო სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ. მისი თქმით, წარმოდგენილი ოთხწლიანი პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სატრანსპორტო სისტემის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც დედაქალაქს აქამდე არ აქვს. ყველასთვის ცნობილია, რომ გამართული სატრანსპორტო სისტემის შესაქმნელად საჭიროა სწორი დაგეგმარება და მის შესაბამისად მუშაობა წლიდან წლამდე. შემუშავებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის - ყვითელი ავტობუსების - ახლით ჩანაცვლების გეგმა. დღეისათვის თბილისში შემოყვანილია მხოლოდ 145 ახალი ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი, თუმცა, იგეგმება დამატებით 700 ერთეულის შემოყვანა. გუნდი ასევე აპირებს სამარშუტო ხაზების კორექტირებასა და ახალი სამარშუტო ხაზების დამატებას, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა მეტად კომფორტული და ხელსაყრელი გახდეს მოქალაქეებისთვის. რაც შეეხება მეტროს, იგი ყოველდღიურად დიდი ოდენობით მგზავრთა გადაყვანას უზრუნველყოფს, შესაბამისად, გუნდს აქვს მეტრო სადგურების რეაბილიტაციის გეგმა, რათა შემცირდეს მგზავრობებს შორის ინტერვალი და გაიზარდოს მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებელი.

ბატონმა ირაკლიმ ასევე, აღნიშნა, რომ დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანია პარკირების სისტემის მოწესრიგება. მისი თქმით, უკვე შერჩეულია ათი ახალი ტერიტორია, სადაც მოეწყობა მიწისქვეშა და მიწისზედა პარკირების ადგილები. აგრეთვე, მნიშვნელოვანია საგზაო პროექტები, რადგან დედაქალაქში გამოვლენილია რამდენიმე ადგილი, რომელიც ვერ უძლებს მოძრაობის ინტენსივობას და სადაც მდგომარეობა კრიტიკულია. შესაბამისად, წარმოდგენილია რამდენიმე პროექტის განხორციელების გეგმა აღნიშნულ საკითხებზე.

ბატონმა ირაკლიმ ასევე განმარტა, რომ გარემოს დაცვის პოლიტიკა გულისხმობს გარემოს დაცვის თანამედროვე მმართველობის დანერგვასა და ქალაქის განვითარების სხვადასხვა სტრატეგიებში გარემოს დაცვის საკთხების ინტეგრირებას. წარმოდგენილი გუნდი

ურბანული განვითარების, ტრანსპორტის და ეკონომიკური განვითარების მიმართულებებით გაითვალისწინებს გარემოსდაცვით კომპონენტებს.

ბატონი ირაკლის განმარტებით, სოციალური პოლიტიკის მხრივ, გუნდი გეგმავს ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ეფექტურად განხორციელებას, უფასო მგზავრობის სისტემის გაგრძელებას, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის 32 პროგრამის გაგრძელებასა და უფრო ეფექტურად განხორციელებას, ასევე საბავშვო ბაგა-ბაღების ვაუჩერული დაფინანსების გაგრძელებას.

ბატონი ირაკლის განცხადებით, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას. ამ მხრივ, თბილისს გააჩნია უზარმაზარი ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალი, შესაბაისად, თბილისის მერია შეეცდება ამ პოტენციალის სრულად ათვისებას. თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გარდა, მერიამ უნდა გამოიყენოს ბიზნესის საშუალებები და მოიზიდოს მეტი ინვესტიცია, შექმნას მეტი სამუშაო ადგილი, გაზარდოს მოსახლეობის შემოსავალი. მნიშვნელოვანია ტურიზმის ხელშეწყობა და ასევე, ღამის ეკონომიკის განვითარება, რომელიც მოსახლეობას დეტალურად წარედგინა წინასაარჩევნო პერიოდში.

ბატონმა ირაკლიმ ასევე განაცხადა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, მათ შორის, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ურბანული პროექტების განხორციელების პროცესში.

განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა მიმართულებით, ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ თბილისის მერია აპირებს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას, მათ შორის:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, თანამედროვე განათლების პარკის რამდენიმე ობიექტის შექმნას;

30-მდე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას - 2018 წელს უნდა დასრულდეს 13 ბაღის მშენებლობა და დაიწყოს 10 ახალი ბაღის მშენებლობა.

თბილისის მერიამ ახალგაზრდებს, ასევე წარუდგინა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი - მუხიანში რადიოქარხნის ტერიტორიაზე რადიოქალაქის კონცეფცია, რომელსაც როგორც მან აღნიშნა, საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოების მხრიდან.

განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით, ასევე იგეგმება მრავალი ახალი პროგრამა.

ბატონი ირაკლის განცხადებით, აგრეთვე მნიშვნელოვანია მართვის პოლიტიკა, რათა შესაძლებელი იყოს ყველა ჩამოთვლილი პროექტის და პროგრამის განხორციელება. დედაქალაქის მუნიციპალიტეტში უნდა დაინერგოს მართვის ეფექტიანი სისტემა, უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი საქმინაობისა და ღონისძიებების განმახორციელებელი სტრუქტურების რეფორმა, უნდა დაინერგოს ელექტრონული

სერვისები, რათა მოსახლეობამ უფრო კარგად ისარგებლოს მუნიციპალური სერვისებით. მათ საშუალება უნდა მიეცეთ-მეტად ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოჩამოთვლილი საკითხები არის ძირითადი მიმართლებები, რომელთაც მხარი დაუჭირა საზოგადოებამ და რომლებიც ასევე აღწერილია წინასაარჩევნო პროგრამაში. წარმოდგენილ გუნდს შესწევს უნარი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ეფექტურად განახორციელოს ისინი. გუნდის ხედვის შესახებ ცალკეულ საკითხებზე, უფრო დეტალურად წარმოდგენილი კანდიდატები მზად არიან ისაუბრონ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა გიორგი ტყემალაძამ განმარტა, რომ ჯერ დაისმებოდა შეკთხვები, ხოლო შემდეგ მერიის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატები ერთიანად უპასუხებდნენ მათ.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ ოთარ გრიგოლიას, რომელიც მიესალმა სხდომაზე მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს. მისი განმარტებით, 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მნიშვნლოვნად შეიცვალა სოციალური პოლიტიკა, როგორც ჯანდაცვის, ასევე სხვადასხვა მიმართულებით. შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობა. მისივე თქმით, აღნიშნული მიმართულებით თბილისის ბიუჯეტშიც არის გათვალისწინებული საკმაო თანხები, თუმცა, ხშირად ისმება კითხვები თანხების ეფექტიანად და მიზნობრივად განკარგვაზე. დეპუტატი დაინტერესდა, თუ როგორ გეგმავს თბილისის მერიის ახალი გუნდი საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტიან ხარჯვას და რა თანხებია განსაზღვრული სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებებით დედაქალაქის ბიუჯეტში.

სიტყვა გადაეცა ბატონ ირაკლი ნადირაძეს. მან აღნიშნა, რომ როგორც ჩანს, მერიის სხვადასხვა სამსახურების უფროსობის კანდიდატები ცალ-ცალკე არ გამოვლენ ტრიბუნასთან და არ უპასუხებენ შეკითხვებს, რაც დაადასტურა საკრებულოს თავმჯდომარემ, რადგან საკრებულო დროშია შეზღუდული.

ბატონი ირაკლი ნადირაძის თქმით, სხდომაზე ბატონი ირაკლი ხმალაძის მიერ წარმოდგენილი იყო მხოლოდ ზოგადი ხედვები ოთხწლიან გეგმებთან დაკავშირებით. მან მიმართა ბატონ ირაკლი ხმალაძეს და აღნიშნა, რომ იგი წინა ხელისუფლების წარმატებული ცხრაწლიანი მმართველობისას, ფაქტიურად 2005 წლიდან მუშაობდა ენერგეტიკის სამინისტროში, სადაც იგი ჯერ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო შემდეგ კი, ამავე სამსახურის უფროსი. აღნიშნული დროის განმავლობაში საქართველოს მთავრობის წინამოსამზადებელ სხდომებზე, შესაბამისი საკითხები მას გამოჰქონდა. მან მიმართა ბატონ ირაკლი ხმალაძეს, შეეფასებინა, აღნიშნულ პერიოდში მისი ენერგეტიკის სამინისტროში მუშაობის პერიოდი, ასევე რამდენად სწორი და ადეკვატური იყო ქართული ოცნების მიერ გაკეთებული განცხადებები, რომ ტარიფები იყო გაბერილი და შესაძლო იყო მათი განახევრება და რომ ბენზინის რეალიზაციისას ერთ ლარს მოსახლეობა ზედმეტად იხდიდა. ასევე, ბატონი ირაკლი ნადრიაძის თქმით, ბატონმა ირაკლი ხმალაძემ შემდგომში ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის რანგში

გააგრძელა მუშაობა და დაინტერესდა, რამდენად წარმატებული იყო მისი საქმიანობა აღნიშნულ პერიოდში.

ბატონმა ირაკლი ნადირაძემ მეორე კითხვით მიმართა თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილ კანდიდატს და იკითხა, როგორ აპირებს იურიდიული სამსახური კომპანია ,,სითი პარკთან'' არსებული დავის გადაწყვეტას და აპირებს თუ არა იგი მიმართოს სასამართლოს, როგორც ეს ბატონმა კახა კალაძემ აღნიშნა. მან ასევე აღნიშნა, ნიშნავდა თუ არა, აღნიშნული განცხადება საზოადოების მოტყუებას და პროცესის გრძელვადიან ფორმატში გადატანას.

დეპუტატი ასევე, დაინტერესდა, თუ რატომ იქნა ამოღებული დავით ნარმანიას მერობის პერიოდში დედაქალაქის მუნიციპალური ბიუჯეტიდან ის მუხლი, რომელიც გულისხმობდა მრავალსართულიანი პარკინგების მშენებლობას, მაშინ, როდესაც ათი საპარკინგე ადგილი თბილისის მერიას უკვე ჰქონდა მოძიებული და მასში კონკრეტული თანხა გადახდილი.

ეკოპოლიტიკასთან დაკავშირებით, ბატონმა ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში ეკონომიკურ სტიმულირებაზე იხარჯებოდა საერთო ბიუჯეტის მხოლოდ 0.4%, შესაბამისად, იგი დაინტერესდა, თუ რამდენად ადეკვატური იყო დავით ნარმანიას მერობისას ამ ოდენობის თანხების ხარჯვა.

მისივე განმარტებით, არაერთხელ იქნა გადახდილი თანხები საინვესტიციო პროექტების მოძიებაზე, მათ შორის, თანხები გაიხარჯა თბილისის ზღვის მიმდებარედ, თბილისის ზღვის საინვესტიციო გარემოს კვლევაზე. დეპუტატი დაინტერესდა ნიშნავს, თუ არა აღნიშნული ზღვის მიმდებარედ არსებული განსაკუთერბული დაცვის ქვეშ მყოფ მწვანე ზონაში რაიმე სახის განაშენიანების განხორციელებას.

ბატონი ირაკლი ნადირაძე ასევე შეეხო ე.წ. ,,ხრუშოვკების'' საკითხს და აღნიშნა, რომ ირაკლი შიხიაშვილმა საკრებულოში მუშაობისას განაცხადა არაბი ინვესტორების ჩამოყვანის შესახებ, რის შემდეგადაც ჩამოიყვანეს ერთი პიროვნება, რომელთანაც მემორანდუმიც გაფორმდა, თუმცა დაპიპრება, დაპირებად დარჩა. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რის გაკეთებას აპირებს თბილისის მერიის მომავალი მმართველი გუნდი ამ მიმართულებით.

გამომსვლელმა ასევე აღნიშნა, რომ წინა წლების დედაქალაქის ბიუჯეტში, ასევე გათვალისწინებული იყო მესამე მასივის ხრუშოვკების დანგრევა, და რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, ინვესტორი უკვე მოძიებული იყო, თუმცა, მესამე მასივში არაფერი განხორციელებულა ამ მიმართულებით.

ეკონომიკასთან დაკავშირებით, გამომსვლელმა აღნიშნა, რომ თბილისის ყოფილ მერს, ბატონ დავით ნარმანიას მიმართეს თბილისის ზღვის შემოვლითი რკინიგზის დასრულების მოთხოვნით, რაზეც მან განუმარტა, რომ აღნიშნული არ იყო თბილისის მუნიციპალიტეტის პრეროგატივა. გამომსვლელა განაცხადა, რომ ამ პერიოდში ბატონი კახა კალაძე იყო საქართველოს ვიცე-პრემიერი და მისი მოვალეობა იყო კურაცია გაეწია

მსგავსი ტიპის პროექტებზე. დეპუტატის კითხვას წარმოადგენდა იყო თუ არა დანაშაული იყო ხსენებული პროექტის განუხორციელებლობა ეკონომიკური თვალსაზრისით.

საპასუხოდ, ბატონმა ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ დასმული შეკითხვები ძალიან მნიშვნელოვან თემებს ეხებოდა. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში მუშაობის შეფასებასთან დასმულ კითხვაზე, ბატონმა ირაკლიმ პასუხად განმარტა, რომ 2012 წელს არ დაუწყია მუშაობა, მანამდეც იყო საჯარო სამსახურში და დააგროვა გამოცდილება. მან აღნიშნა, რომ 2005 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში მუშაობდა რიგით თანამდებობაზე იურიდიულ დეპარტამენტში და მინისტრის მოადგილეობამდე ყველა საფეხური გაიარა და რომ მის ყველა დაწინაურებაზე ბატონმა კახა კალაძემ მიიღო გადაწყვეტილება. მან საკუთარი საქმიანობა წარმატებულად შეაფასა. რაც შეეხება იმდროინდელი საქართველოს მთავრობის საქმიანობის შეფასებას, მან განაცხადა, რომ ეს უკვე გააკეთა საზოგადოებამ 2012 წელს.

ტარიფებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე ბატონმა ირაკლიმ უპასუხა, რომ ბატონი კახა კალაძის ენერგეტიკის სამინისტროში მისვლიდან ორი თვის შემდეგ ბუნებრივი აირის ტარიფი შემცირდა 5 თეთრით და ელექტროენერგიის ტარიფი შემცირდა 4 თეთრით. ეს შემცირებები განხორციელდა ხარჯების ოპტიმიზაციის ხარჯზე: ენერგეტიკის სამინისტრომ დაითვალა კომპანიების ხარჯები და ,,ენერგო პრო ჯორჯიას'' და ,,თელასის'' ხარჯების ოპტიმიზაციის შედეგად, განხორციელდა ტარიფების 23-24%-ით შემცირება. აქედან გამომდინარე, დაპირება შესრულდა და ორწელიწადნახევრის განმავლობაში მოსახლეობა შემცირებული ტარიფით სარგებლობდა, ვიდრე ლარის კურსის გამო გადაიხედებოდა ტარიფები.

ბატონმა ირაკლიმ, ასევე უპასუხა კომპანია ,,სითი პარკთან'' დაკავშირებულ შეკითხვას. მისი თქმით, წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ამ თემამ ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია. თავიდანვე ბატონმა კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ,,სითი პარკი'' დღეისათვის არღვევს ხელშეკრულებას. მისი თქმით, თბილისის მერიამ უნდა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, შეასრულოს საკუთარი მოვალეობა, თუმცა იგი ვერავის აუკრძალავს სასამართლოს ან არბიტრაჟისადმი მიმართვას. მანვე განმეორებით აღნიშნა, რომ სითი პარკი არღვევს ხელშეკრულებას და თბილისის მაცხოვრებლებს უწერს ასეულობით უკანონო ჯარიმას. თუ ეს კომპანია საკუთარ მოქმედებებს არ შეუსაბამებს ხელშეკრულების და კანონის პირობებს, ხელშეკრულება აუცილებლად გაუქმდება.

საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით, ბატონმა ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის ყოფილმა მერმა, ბატონმა დავით ნარმანიამ საკუთარი მოღვაწეობის პერიოდი უკვე შეაჯამა, წარუდგინა საზოგადოებას. შესაბამისად, ყოფილი მერის საქმიანობასთან დაკავშირებულ კითხვებს იგი ვერ უპასუხებს. ამასთან, ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ მომავალი გუნდი აპირებს თბილისის ზღვის განვითარებას, ისევე როგორც ბევრი ეკონომიკური პროექტის განხორციელებას, არა მხოლოდ მუნიციპალური ბიუჯეტიდან, არამედ, ინვესტიციების მოზიდვითა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარების გზით, მათ შორის, გათვალისწინებულია ე.წ. ,,ხრუშჩოვკების პროექტის''

განხორციელებაც, რაზეც არსებობს გეგმა, თუ როგორ უნდა ჩანაცვლდეს აღნიშნული ინფრასტრუქტურა.

თბილისის შემოვლით რკინიგზასთან დაკავშირებით, ბატონმა ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ საუბრობს ბატონი ირაკლი ნადირაძე აღნიშნულ პროექტზე, მაშინ როდესაც პროექტზე 140 000 000 დოლარზე მეტი იქნა დახარჯული ეკონომიკური ანალიზის გაკეთების გარეშე. ხსენებული ანალიზი გაკეთდა რამდენიმე წლის წინ და დადგინდა, რომ მისი განხორციელება არ შეიძლება, ვინაიდან დაახლოებით 20-23 მილიონით იზრდებოდა რკინიგზის ყოველწლიური საოპერაციო ხარჯები და ასევე, იგი ამცირებდა გამტარუნარიანობას. შესაბამისად, პროექტი შეჩერდა.

მანვე მოუწოდა საკრებულოს წევრს პოლიტიკურ ჭრილში ნუ გადაიტანს საკითხს და გაეცნოს ჩატარებული კვლევის შედეგებს. მანვე განმარტა, რომ როგორც კი წარმოდგენილი გუნდი შეუდგება თბილისის მერიაში საქმიანობას, იგი მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ფორმით შეიძლება განხორციელდეს აღნიშნული პროექტი.

ბატონმა ირაკლიმ ასევე უპასუხა სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებულ შეკითხვას. მისი თქმით, თბილისის ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი სწორედ სოციალური პროექტების განხორციელებაზეა მიმართული. მან აღნიშნა, რომ მოვალეობის შესრულების დაწყებისთანავე, გუნდი დაიწყებს 2018 წლის ბიუჯეტის პროექტირებას. მან აღნიშნა, რომ მათ ხელთ არსებული მონაცემებით, სოციალური პროგრამების დაფინანსება 300 000 000-ს გასცდება მომავალ წელს. მერია უზრუნველყოფს მომსახურებათა ელექტრონულად განხორციელებას, მათ გამჭირვალეობას და შესაბამისად, საზოგადოება უკეთესად გაეცნობა ამ პროექტებს, რაც მოხსნის არსებულ შეკითხვებს.

ბატონ ირაკლი ხმალაძეს რეპლიკით მიმართა ბატონმა ირაკლი ნადირაძემ და აღნიშნა, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტს კარგად იცნობს, არაერთხელ ჰქონდა შეხვედრა გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფთან, რომელიც პროექტის 3 ვარიანტს განიხილავდა. მისი თქმით, ის, რომ პროექტის ეკონომიკური ანალიზის განხორციელებას 5 წელი დასჭირდა - პრობლემურია. მანვე აღნიშნა, რომ ბატონი კახა კალაძე და ბატონი დავით ნარმანია ერთი გუნდის წევრები არიან. შესაბამისად, ყოფილი მერის საქმიანობაზე პასუხი მომავალ მერსაც მოეთხოვება. გამომსვლელმა განაცხადა, რომ თბილისის ყოფილი მერის, ბატონი დავით ნარმანიას მიერ წარმოდგენილი თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მანვე აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე 21 ოქტომბრიდან, როდესაც პირველსავე ტურში გაიმარჯვა ბატონმა კახა კალაძემ, იგი თბილისის მერიის სხვადასხვა სამსახურებს უკვე აძლევდა დავალებებს, ამიტომ, მას შეეძლო გამოეყენებინა სამი კვირა და წარმოედგინა მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.

ბატონმა ირაკლი ნადირაძემ კითხვით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილ კანდიდატს ბატონ გაიოზ თალაკვაძეს, იცნობს, თუ არა, უკვე წარმოდგენილ 2018 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, მონაწილეობდა, თუ არა, მის შედგენაში და ეთანხმება, თუ არა, ბიუჯეტის

ძირითად პარამეტრებს, რომლის მიხედვითაც ლარის გაუფასურების, დედაქალაქში საცობების, პარკირების, ჯანდაცვის, სოციალური პრობლემის გაუარესების ფონზე, ბიუჯეტი 11 მილიონი ლარით მცირდება.

ბატონი ირაკლი ნადირაძის თქმით, საცობების და ინფრასტრუქტურის პრობლემები იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, აქტუალური და მწვავე საკითხი მთელი ამ წლების განმავლობაში და სამწუხაროდ, ისინი კვლავ მწვავე პრობლემებად რჩება.

დეპუტატმა კითხვით მიმართა ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობისა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებად წარდგენილ კანდიდატებს, იღებდნენ თუ არა პასუხისმგებლობას, რომ ქალაქში აღნიშნული მიმართულებით მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა; გრძნობდნენ თუ არა, პასუხისმგელობას, რომ თბილისში არ აშენდა ახალი ესტაკადები, ხიდები, გვირაბები, მაგალითად: ცინცაძე-კარტოზიას ესტაკადა, თამარაშვილი-უნივერსიტეტის ესტაკადა, მარშალ გელოვანზე არსებული ესტაკადა, მტკვრის მარცხენა სანაპიროდან გალაკტიონის ხიდზე ამოსასვლელი ესტაკადა.

ბატონი ირაკლის თქმით, ავარიული კორპუსების რეაბილიტაციისთვის თბილისის 2014 წლის ბიუჯეტში სიმბოლურად გათვალისწინებული იყო 41 000 000 ლარი, თუმცა, ბატონმა დავით ნარმანიამ ხსენებული ბიუჯეტი ეტაპობრივად შეამცირა და დღეს ავარიულ კორპუსებზე აღნიშნული თანხის ნახევარიც აღარ იხარჯება.

ტრანსპორტთან დაკავირებით, აღნიშნა, რომ ყველასთვის ცნობილია თბილისისთვის დამატებით 800 ახალი ავტობუსის შემოყვანის საჭიროება. იგი დაინტერესდა მომავალ წელს კონკრეტულად რამდენი ახალი ავტობუსი იქნება შემოყვანილი თბილისში.

ბატონმა ირაკლი ხმალაძემ ბიუჯეტთან დაკავშირებით დასმულ შეკთხვაზე აღიშნა, რომ საარჩევნო კამპანიისა და არჩევნების დასრულების შემდეგ მიმდინარეობდა კანონით გათვალისწინებული პროცედურები და მხოლოდ 12 ნოემბრიდან შეუდგა ბატონი კახა კალაძე მერის უფლებამოსილების განხორიელებას. მანამდე იგი არასდროს ჩარეულა ყოფილი მერის, ბატონი დავით ნარმანიას საქმიანობაში. შესაბამისად, დღეისათვის თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი დედაქალაქის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი შემუშავებულია ბატონი დავით ნარმანიას მიერ თავის თანაგუნდელებთან ერთად. ამასთან, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ გუნდის ყველა წევრი ეთანხმებოდეს ბიუჯეტის არსებულ ვარიანტს. მისივე თქმით, მერიის მომავალი ხელმძღვანელობა აპირებს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის არსებითად შეცვლას, რადგან მას აქვს განსხვავებული გეგმები 2018 და მომდევნო წლებისათვის. შესაბამისდ, ბიუჯეტის პროექტი უნდა მოერგოს იმ დაპირებებს, რასაც საზოგადოებამ მხარი დაუჭირა.

ბატონი გივი კუბლაშვილისა და მამუკა მუმლაძის მიმართ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, ბატონმა ირაკლი ხმალაძემ განმარტა, რომ ისინი წარდგენილნი არიან უწინდელ პოზიციებზე. თბილისს ჰყავს ღირსეული და ძლიერი მერი და განსხვავებული პოლიტიკა გატარდება საცობებთან დაკავშირებით, გაიზრდება ხარჯები ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რათა შემცირდეს არსებული საცობები, მოძრაობისგან

გაიტვირთოს ყველაზე კრიტიკული მონაკვეთები. მან ირაკლი ნადირაძეს განუმარტა, რომ მერიის მომავალი გუნდი აპირებს ხსენებული პროექტების განხორციელებას და რომ წინასაარჩევნო პერიოდში ეს პროექტები ვიდეო-კლიპების სახითაც კი წარედგინა საზოადოებას. ავარიულ შენობებზე 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება რამდენიმე ათეული მილიონი ლარი.

ბატონმა ირაკლიმ ასევე განაცხადა, რომ ახალ ავტობუსებთან დაკავშირებით კონკრეტულ მონაცემებს დღევანდელ სხდომაზე ვერ წარმოადგენდა, რადგან რამდენადაც მისთვის ცნობილი იყო, ბატონი კახა კალაძე ცდილობს ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებითი ტრანსფერის მოზიდვას დედაქალაქის ბიუჯეტში. შესაბამისად, ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ, წარმოდგენილი იქნება კონკრეტული მონაცემები.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ **ირაკლი ზარქუას**, მან მიმართა ბატონ ირაკლი ნადირაძეს და განმარტა, რომ 2018 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არ არის შემცირებული გასული წლის ბიუჯეტთან შედარებით. 2017 წლის ბიუჯეტი წლის დასაწყისში იყო 801 მლნ. ლარი, ხოლო დავით ნარმანიას მიერ წარმოდგეილი 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი შეადგენს 815 მლნ. ლარს. შესაბამისად, სახეზეა ზრდა და არა კლება.

მისივე განმარტებით, ბიუჯეტის კლებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება ოპოზიციის შოუს ნაწილია და იგი არ შევა აღნიშნულ დისკუსიაში.

ამის შემდეგ ბატონმა ირაკლი ზარქუამ შეკითხვით მიმართა ბატონ ირაკლი ხმალაძეს და აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის ახალი პროექტის წარმოდგენისათვის მერიის ახალ მთავრობას ექნება დრო, წარედგინება თბილისის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების შესაბამისი შენიშვნები და რეკომენდაციები. მან იკითხა თუ რამდენად მოასწრებენ მომავალი გამგებლები 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში ჩართვას? რამდენად არიან ისინი გათვითცნობიერებულნი შესაბამისი რაიონების პრობლემებში?

ბატონი ირაკლი ზარქუას განცხადებას რეპლიკით გამოეხმაურა ბატონი ირაკლი ნადირაძე და აღნიშნა, რომ 2018 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტი 2017 წლის არსებულ ბიუჯეტთან შედარებით 11 მლნ. ლარითაა შემცირებული და ამას გულისხმობდა.

სიტყვა გადეცა ბატონ ლევან ხაბეიშვილს. მან მიმართა წარმოდგენილ კანდიდატებს და დაინტერესდა, თუ რამდენით და რის ხარჯზე შემცირდება ბიუროკრატიული ხარჯები; ასევე, აპირებს თუ არა დედაქალაქის მომავალი მთავრობა მერიის ავტოპარკის შემცირებას, რომელშიც დღეს 300 ავტომობილია და შესაბამისად, რამდენით შემცირდება წლიური საწვავის ხარჯი; დეპუტატი დაინტერესდა, ასევე კონკრეტულად, რამდენჯერ შემცირდება საშტატო ერთეული და რომელ ა(ა)იპ-ებს და სამსახურებს შეეხება შემცირება; ასევე, იგეგმება თუ არა სამსახურების ოპტიმიზაცია, გაუქმება ან შეერთება, მაგალითად, ცხოველთა მონიტორინგის სამსახურის, რომელსაც ბატონი ლევანის თქმით, დაახლოებით 2 800 000 ლარი აქვს ბიუჯეტი, რომლის თანხების 83-85% მხოლოდ ანაზღაურებას ხმარდება. მისი თქმით, რეალურად, ცხოველთა მონიტორინგზე მხოლოდ 280 000 ლარი იხარჯება.

მანვე აღნიშნა, რომ თბილისში 166 000 სოციალურად დაუცველია, რომელთა დახმარება საშუალოდ, 45 ლარს შეადგენს. იგი დაინტერესდა არის, თუ არა ამ ადამიანებისთვის ყოველთვიური 45 ლარიანი,რომელიც დღეში 1.50 ლარს შეადგენს. დახმარება ადეკვატური. იგი ასევე დაინტერესდა მუშაობს, თუ არა თბილისის მერია, რომ ახალ ბიუჯეტში ასახული იყოს აღნიშნული 166 000 ადამიანისთვის დახმარება.

ბატონი ლევანი ასევე, შეეხო უფასო სასადილოების საკთხს და აღნიშნა, რომ ბენეფიციარებისთვის გათვალისწინებულია დღიური ხარჯები 1.18 თეთრი, რომელიც მოიცავ დღგ-ს გადასახადსაც. აქედან გამომდინარე, მისი ანგარიშით, რეალურად, ბენეფიციარებს ხმარდებათ 98 თეთრი დღიურად. შესაბამისად, იგი დაინტერესდა, მერიის მომავალი გუნდის გეგმებით აღნიშნულ საკითხთან მიმართებით და იგეგმება თუ არა დაფინანსების ზრდა.

ბატონმა ლევანმა აგრეთვე მიმართა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილ კანდიდატს ბატონ გელა ჩივიაშვილს. მისი თქმით, დედაქალაქში უფასო სასადილოებში, ოფიციალურად, გაფორმებულია 40 000-მდე პირი და მათგან ყოველდღიურად 20 000-ზე მეტი ბენეფიციარი არ სარგებლობს აღნიშნული მომსახურებით, რაზეც საქართველოს პროკურატურამ აღძრა სისხლისსამართლებრივი საქმე, რომელზეც ძიება კვლავაც მიმდინარეობს. მან იკითხა, თუ დაინტერესებულა თბილისის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ვინ ითვისებს ბენეფიციარებისთვის განკუთვნილი თანხების ნაწილს წლების განმავლობაში.

დეპუტატი აგრეთვე დაინტერესდა შეცდომა, იყო თუ არა, დავით ნარმანიას მიერ მოსახლეობისთვის კომუნალური ვაუჩერების გაუქმება და ხომ არ აპირებს ხსენებული ვაუჩერების შემოღებას მერიის ახალი გუნდი.

გამომსვლელმა კითხვით მიმართა თბილისის შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატს, გაგრძელდება, თუ არა, ტენდერის გარეშე ხელშეკრულებების გაფორმება;

ბატონი ლევან ხაბეიშვილი ასევე, დაინტერესდა თბილისის მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგების საკითხით, თბილისის ყოფილი მერი ბატონი დავით ნარმანია იყო პასუხისმგებელი აღნიშნულზე, თუ ბატონი კახა კალაძეც, რომელიც ამ პერიოდში ვიცე-პრემიერის თანამდებობას იკავებდა.

ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა მიმართა ბატონ ირაკლი გვილავას და განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საბავშვო ბაგა-ბაღის განთავისუფლებული დირექტორები სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე იბრუნებენ სამუშაო პოზიციებს, მაგალითად, პატარა ლილოს დასახლების ბაღის დირექტორი, 169-ე ბაღის დირექტორმა კი ორი კვირის წინ მოიგო დავა სასამართლოში. მან ჰკითხა ბატონ ირაკლი გვილავას, განხორციელდება, თუ არა პოლიტიკური დევნა ბაღების დირექტორების მიმართ. დეპუტატმა, ასევე იკითხა აპირებს, თუ არა მერიის განათლების, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელთა ანაზღაურების გაზრდას.

ლევან ხაბეიშვილმა კითხვით მიმართა ასევე თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატს. მისი თქმით, თავისუფლების მოედანზე, დედაქალაქის ცენტრში მიმდინარე მშენებლობა კონკრეტული შპს-ს მიერაა შემოსაზღვრული და მოსახლეობა ფეხით გადაადგილდება ტრანსპორტის სავალ ნაწილზე, რომელიც საპატრულო პოლიციას არ აქვს შემოღობილი. იგი დაინტერესდა, თუ ვინ აიღებს პასუხისმგებლობას შესაძლო უბედურ შემთხვევაზე.

ბატონმა ლევანმა შეკითხვით მიმართა თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატს. მისი თქმით, დედაქალაქის ავტობუსების 70%-ს ამოწურული აქვს ექსპლუატაციის ვადა. მან იკითხა არის, თუ არა, ხსენებული ტრანსპორტით გადაადგილება უსაფრთხო და ვინ იღებს აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებლობას.

ბატონმა ირაკლი ხმალაძემ უპასუხა ბატონი ირაკლი ზარქუას შეკთხვას და აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დაემთხვა თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესს, თუმცა გამგებლის ყველა კანდიდატურა, ვინც კი წარმოდგენილია, საარჩევნო კამპანიისას ფეხით დადიოდნენ უბნებსა და ქუჩებზე, სადაც ბატონ კახა კალაძესთან ერთად, ხვდებოდნენ თბილისის მოსახლეობას, ეცნობოდნენ მათ საჭიროებებს. ამიტომ, მათ ძალიან კარგად იციან მოსახლეობის პრობლემები. ამას გარდა, მოქმედი კანონმდებლობა თბილისის ახალ ხელმძღვანელობას აძლევს შესაძლებლობას, კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში იმუშაოს თბილისის 2018 წლის ბიუჯეტზე, მიიღოს საკრებულოდან შესაბამისი წინადადებები და დეკემბრის პირველ რიცხვებში გადამუშავებული 2018 წლის ბიუჯეტი წარუდგინოს თბილისის საკრებულოს.

დედაქალაქის გენ.გეგმასთან დაკავშირებით, ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ თბილისის ისტორიული უბნები წარმოადგენს ისტორიულ საგანძურს და ვერცერთი გენერალური განვითარების გეგმა ვერ გადაუსვამს ხაზს ამ საგანძურს. შესაბამისად, განხორციელდება ისტორიულ უბნებში ავარიული შენობების რეაბილიტაცია.

ბატონმა ირაკლიმ მიმართა ბატონ ლევან ხაბეიშვილს და აღნიშნა, რომ ბუნებრივია, საჭიროა მმართველობის სისტემების არსებითი ცვლილებები, თუმცა ეს პროცესი არ დაიწყება იმის განსაზღვრიდან, თუ რამდენი თანამშრომლით უნდა შემცირდეს მერიის შტატები, რამდენი ლიტრით უნდა შემცირდეს საწვავის ხარჯი, რამდენი მანქანით უნდა შემცირდეს მერიის ავტოპარკი. წინასაარჩევნო კამპანიისას ბატონმა კახა კალაძემ საზოგადოებას წარუდგინა მართვის ეფექტური სისტემის გეგმა და რომლის დანერგვის დაპირება გაიცა. სტრუქტურულ რეფორმას, კანონით დადგენილი წესით, აქვს სამთვიანი ვადა და ამ პროცესში განხორციელდება ახალი სტრუქტურის ფორმირება. მმართველობის ეფექტურ სისტემაში იმუშავებს იმდენი ადამიანი, იმოძრავებს იმდენი ავტომანქანა და დაიხარჯება იმდენი საწვავი, რამდენიც ამ სისტემას დასჭირდება. რაზეც ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა დააკონკრეტა კითხვა, არსებული მომენტისთვის იყო თუ არა დათვლილი აღნიშნული მონაცემები.

ბატონმა ირაკლი ხმალაძემ საპასუხოდ, აღნიშნა, რომ მერია უზარმაზარი უწყებაა, მის სისტემაში 24 000-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, შესაბამისად, კონკრეტული რიცხვების გამოყვანას სჭირდება სამუშაო პროცესის წარმართვა.

ბატონი გიორგი ტყემალაძე დაეთანხმა ბატონი ირაკლი ხმალაძის განმარტებას და დამატებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, შეუძლებელია განისაზღვროს თუ რამდენი შტატით ან ავტომობილით შემცირდება თბილისის მერიის სტრუქტურები, ასევე რამდენჯერ შემცირდება საწვავის ხარჯები. მას შემდეგ, რაც საკრებულოს წარედგინება დედაქალაქის 2018 წლის ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილი იქნება ადმინისტრაციული ხარჯრები, რა თქმა უნდა, აღნიშნული ციფრები დაკონკრეტდება.

სიტყვა გადაეცა მერის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატს, ქალბატონ მაია ბითაძეს, რომელიც მიესალმა სხდომის მონაწილეებს. მისი თქმით, ლანდშაფტურად ღირებული და სხვა საცხოვრებელი ტერიტორიების დაცვა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ახალი გუნდისთვის. როგორც ქალბატონმა მაიამ განმარტა, მერიის სტრუქტურული რეორგანიზაცია/ოპტიმიზაცია, ზედამხედველობის ეფექტიანობა, მიწისქვეშა გადასასვლელების უსაფრთხოება, სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების დაცვა არის საკთხები, რომელზედაც წარმოდგენილი გუნდი მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმაველობაში ესაუბრებოდა საზოგადოებას. მისივე თქმით, წინასაარჩევნოდ ნახსენები იყო ტრანსპორტის სტრატეგია, შესაბამისად, გენერალური გეგმის განხილვა წარმოუდგენელია სატრანსპორტო პოლიტიკის სწორი გააზრების გარეშე. მისი თქმით, მერიის ახალი გუნდი იმუშავებს სხვადასხვა საქალაქო სამსახურებისა და გამგეობების მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში. როგორც მან აღნიშნა, ტრანსპორტთან, საცხოვრისებთან და რეკრეაციულ ზონებთან დაკავშირებული პრობლემები სამწუხაროდ, იმიტომ არის სახეზე, რომ თავად დედაქალაქის მაცხოვრებლებმა შევუწყვეთ აღნიშნულს ხელი. გენერალური გეგმის შემუშავება 20 წლის წინ რომ დაწყებულიყო ამდენ პრობლემას არ შეხვდებოდა დედაქალაქი, მათ შორის, კერძო საკუთრებები არ განთავსდებოდა რეკრეაციულ ზონებში.

ქალბატონმა მაია ბითაძემ აღნიშნა, რომ ასევე მნიშვნელოვანია მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგება, შესაბამისი რეგლამენტირება, რაზეც მერია უახლოეს მომავალში დაიწყებს მუშაობას. მეიჯარეებს მოეთხოვებათ უსაფრთხოების პირობების დაცვა, მათ დროებით სარგებლობაში მყოფ, მიწისქვეშა გადასასვლელების ფართებში. მანვე აღნიშნა, რომ განაშენიანების მოწესრიგებისას და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისას, მერია ვერ დაელოდება გენერალური გეგმის შემუშავებას. ბუნებრივია, კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ობიექტები განაშენიანების სხვა მიზნებისთვის ვერ იქნება გამოყენებული. ამასთან, შემოვლითი რკინიგზის თავდაპირველი პროექტის განხორციელებას შეიძლება მოჰყოლოდა უარყოფითი ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგები. როგორც მან აღნიშნა, თბილისის მერია მას აუცილებლად განიხილავს განვითარების გენერალური გეგმის ჭრილში.

სიტყვა გადაეცა ბატონ გელა ჩივიაშვილს, იგი მიესალმა სხდომაზე დამსწრეთ და აღნიშნა, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, გარდა საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან

დაფინანსებისა, თბილისის ბიუჯეტიდან ეძლევათ დახმარება. წლის განმავლობაში მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურიდან იხაჯრება 40 000 000 ლარი, 13 000 ბავშვი თვეში იღებს 50 ლარს, რაც წლიურად დაახლოებით 8 მილიონ ლარს შეადგენს; სოციალურად დაუცველი ოჯახები ყოველ მესამე და შემდგომ ახალშობილზე წლიურად 800, 1000, 1500 ლარით ფინანსდებიან. აღნიშნული ოჯახები, ასევე სარგებლობენ უფასო სატრანსპორტო შეღავათებით, შესაბამისად, თბილისის სოციალური პროექტები მორგებულია ხსენებულ მოწყვლად ჯგუფებზე.

კომუნალურ სუბსიდიებთან დაკავშირებით ბატონმა გელა ჩივიაშვილმა აღნიშნა, რომ არ მომხდარა მათი გაუქმება, პირიქით, სისტემა უფრო მიზნობრივი გახდა. კერძოდ, იგი გავრცელდა მოწყვლად ჯგუფებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 200 000 და ნაკლები.

უფსო სასადილოებთან დაკავშირებულ შეკთხვაზე ბატონმა გელა ჩივიაშვილმა აღნიშნა, რომ ბოლო სამი წლის განავლობაში ამ სასადილოთა ბიუჯეტი გაიზარდა 7 მილიონი ლარით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და კვების ხარისხი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და დამატებითი სამუშაოებია გასაწევი.

რეპლიკით ისარგებლა ბატონმა **ირაკლი ზარქუამ** და მიმართა ბატონ **ლევან ხაბეიშვილს** და **ქალბატონ მარინა დათუკიშვილს და** განუმარტა, რომ მერიის ყოფილმა მთავრობამ დედაქალაქში 12 საბავშვო ბაგა-ბაღი ააშენა და იგეგმება მეტი ახალი ბაღის მშენებლობა, მაშინ, როდესაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს 48 ბაღის ფუნქციონირება შეწყდა და ასევე, საბავშვო ბაგა-ბაღებში გახსნილი იყო ნაციონალური მოძრაობის პარტიული ოფისები.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ქალბატონ რიმა ბერაძეს. იგი მიესალმა თბილისის მერიის თანამდებობის პირებისა და გამგებლობის კანდიდატებს. მისი თქმით, თბილისის ძლიერ მერს წარმოდგენილი ჰყავს ძლიერი გუნდი, რომელსაც ენდობა მოსახლეობა. მისივე თქმით, წინა მოწვევის საკრებულოში გაერთიანებული კოალიცია წარმოდგენილი იყო 37 დეპუტატით, მოსახლეობის მხარდაჭერის შედეგად კი, დღეს კოალიცია თბილისის საკრეულოში წარმოდგენილია 40 დეპუტატით. მანვე საკრებულოს ყველა წევრს მოუწოდა კონსტრუქციულობისაკენ.

ქალბატონი რიმა ბერაძის თქმით, საკრებულოს მეხუთე მოწვევის დეპუტატებს პრემია არ მიუღიათ, მაშინ როდესაც, ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ხელისუფლებაში ყოფნისას იღებდა დიდი რაოდენობის პრემიებს. მან მიმართა ბატონ ირაკლი ხმალაძეს და იკითხა, დღეიდან როგორ განხორციელდება მუნიციპალური შესყიდვები და რა სიახლეებია ამ კუთხით.

სიტყვა გადაეცა ბატონ **გიორგი ბაგრატიონს** მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილ კანდიდატს, რომელმაც მიმართა ბატონ ლევან ხაბეიშვილს. მისი თქმით, როგორც თბილისის მერმა განაცხადა, დედაქალაქში

მშენებლობებზე გამკაცრდება კონტროლი და დაჯარიმდება ყველა ის ობიექტი, რომელიც არ დაიცავს უსაფრთხოების ნორმებს.

სიტყვა გადაეცა ქალბატონ მარინა დათუკიშვილს. მან მიმართა ბატონ ირაკლი ხმალაძეს და აღნიშნა, რომ გასაკვირი არაა მის წარსულ საქმიანობასთან შეკითხვების დასმა. მისი თქმით, საკრებულოს ფრაქციას ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' სურდა თბილისის მერთან შეხვედრა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა, მერმა ისაუბრა ყოფილი ხელისუფლების განვლივ ცხრაწლიან მმართველობაზე, შესაბამისად, არაა გასაკვირი საკრებულოს წევრმა სხდომაზე დამსწრეს შეეკთხოს მის წარსულ საქმიანობაზე.

ქალბატონი მარინა დაინტერსდა, არის თუ არა უკვე განსაზღვრული თუ რომელი მოადგილე, რომელ სფეროს გაუწევს კურატორობას.

აღნიშნულზე ბატონმა ირაკლი ხმალაძემ უპასუხა, რომ საკურაციო სფეროების განაწილებაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნება მომდევნო კვირაში, მას შემდეგ, რაც თბილისის მთავრობის სრული შემადგენლობა დამტკიცდება.

ქალბატონმა მარინა დათუკიშვილმა მიმართა მერიის ადმინისტრაცის უფროსად წარდგენილ კანდიდატს. მისი თქმით, 2004 წელს თბილისის მთავრობამ დაიქირავა ,,სინერჯი ჯგუფი'', რომელსაც უნდა მოეხდინა მერიის სტრუქტურის ფორმირება და ამ მომსახურებაში რამდენიმე ასეული ათასი ლარი იქნა გადახდილი. თუმცა, სინერჯი ჯგუფის რეკომენდაციები არავის გაუთვალისწინებია, იმიტომ, რომ დღეს თბილისის მერიაში მუშაობს განუსაზღვრელად დიდი რაოდენობის საშტატო და შტატგარეშე მოსამსახურე, შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა 800-ს აჭარბებს. მისივე განმარტებით, ბატონ დავით ნარმანიას მერობისას, მერიის პიარ სამსახურში ხელშეკრულებით დასაქმებული იყო ორი თანამშრომელი, რომელთა თვიური ანაზღაურება ჯამში 11 000 ლარს შეადგენდა. დეპუტატის თქმით, აღნიშნულის საჭიროება ყოფილმა მერმა ვერც ერთხელ ვერ დააზუსტა.

ქალბატონი მარინა დაინტერესდა აპირებს, თუ არა მერიის მომავალი ხელმძღვანელობა აღნიშნული ტენდენციის გაგრძელებას და იგეგმება თუ არა მერიის ადმინისტრაციის ოპტიმიზაცია.

მანვე აღნიშნა, რომ ბატონი ვლადიმერ ჭიღლაძე 9 წლის განმავლობაში იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეც. დანიშნულების დანაყოფის უფროსის მოადგილე - 2004 წლიდან 2013 წლის აპრილამდე. გამომსვლელმა იკითხა, იღებს, თუ არა, ბატონი ვლადიმერი პასუხისმგებლობას წინა ხელსუფლების მოქმედებებზე. რადგან მას 2006, 2008 და 2011 წელს საქართველოს პრეზიდენტისგან მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები მხედრული მამაცობისა და სხვადასხვა წარმატებებისთვის.

მანვე კითხვით მიმართა ბატონ გიგა გიგაშვილს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილ კანდიდატს. ქალბატონი მარინას თქმით, იგი გაეცნო წარმოდგენილი კანიდატის შრომით ბიოგრაფიას,

რომელიც საკმაოდ კარგად გამოიყურება, მაგრამ საერთო არ აქვს იმ სფეროსთან, რომლის ფუნქცია-მოვალეობებიც უნდა შეასრულოს დღეიდან. ქალბატონი მარინა დაინტერესდა არის თუ არა მზად წარმოდგენილი კანდიდატი გაუძლოს იმ გამოწვევებს, რომელიც აქვს თბილისის გარემოს დაცვისა და გამწვანების საკითხებს და იქნება თუ არა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

ქალბატონმა მარინამ ასევე მიმართა ბატონ სერგო ბირკაძეს, თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილ კანდიდატს და სთხოვა, ერთმანეთისგან გაემიჯნა საჯარო ინფორმაცია და სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაცია, რათა მისცეს საკრებულოს წევრებს შესასძლებლობა-საკუთარი უფლებამოსილებები განახორციელონ იმ ფარგლებში, რასაც კანონი აძლევთ.

მანვე აღნიშნა, რომ თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგ, ბატონ სერგოს მიაწვდის იმ ჩამონათვალს, რაზედაც პასუხი საკრებულოს წევრებს მერიიდან ჯერ არ მიუღიათ.

მოსაუბრემ ასევე მიმართა ბატონ გიორგი ტყემალაძეს, ქალბატონ მაია ბითაძეს და ბატონ ირაკლი ხმალაძეს და აღნიშნა, რომ მათი გუნდის შესაბამის წარმომადგენლები სამი წელია დედაქალაქის ხელისუფლებაში იმყოფებიან, ამიტომ ისინი არ უნდა გაემიჯნონ დედაქალაქის ყოფილ ხელმძღვანელობას და უნდა აიღონ პასუხისმგებლობა ამ წლებში განხორციელებულ ქმედებებზე.

ბატონმა ირაკლი ხმალაძემ საპასუხოდ, განმარტა, რომ ის არ ემიჯნება პასუხიმგებლობას, თუმცა ხსენებული სამი წლის განმავლობაში საკუთარ სამსახურში მუშაობდა და წარმატებულადაც. მისი თქმით, ცხრა წლის განმავლობაში წარმოდგენილი გუნდის სხვადასხვა წევრი იყო საჯარო მოსამსახურე და კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს. როგორი იყო მმართველობის სისტემა, ეს სხვა საკითხია. დღეს წარმოდგენილი გუნდი დაკომპლექტებულია პროფესიონალი და კვალიფიციური ადამიანებისგან, რომელთაც აქვთ ის თვისებები, რაც საჭიროა დედაქალაქის გამოწვევებთან გასამკლავებლად.

ბატონმა ვლადიმერ ჭიღლაძემ მიმართა ქალატონ მარინა დათუკიშვილს და განმარტა, რომ იგი ამაყია სპეციალური ოპერაციების ცენტრ „შავნაბადაში“ სამსახურის წარსულით, ამაყია იმ ადამიანებით, რომელთა გვერდშიც იბრძოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. აღნიშნული დანაყოფი არც ერთ შიდა პროცესში არ ჩარეულა, იგი მუშაობდა კონტრტერორისტული მიართულებით. მანვე განმარტა, რომ „სინერჯი ჯგუფის“ მიერ შემუშავებული გეგმა ნაწილობრივ განხორციელდა თბილისის გამგეობებში, თუმცა, ამ ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გეგმის შესრულება ამ ეტაპზე დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რაც თბილისის მთავრობასთან დამატებით განხილვას საჭიროებს.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს ბატონ ფრიდონ ინჯიას. მისი განმარტებით, „ქართულმა ოცნებამ“ საკრებულოს წარუდგინა საკუთარი გუნდი თბილისის მთავრობის დასაკომპლექტებლად, თუმცა, არ წარმოუდგენია მათი ბიოგრაფიული მონაცემები,

ესეთი მიდგომა არასწორია. მისივე განმარტებით, უკეთესი იქნებოდა მერიის მთავრობის წევრთა ბიოგრაფიების წარმოდგენა საკრებულოსთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა ბატონ ფრიდონ ინჯიას და განუმარტა, რომ ხსენებული ბიოგრაფიები თბილისის საკრებულოს 3 დღის წინ გამოეგზავნა და დაეგზავნა დეპუტატებს, ასევე წარმოდგენილია სხდომის მასალებში.

ბატონმა ფრიდონმა დამატებით აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა თითოეულ წარმოდგენილ კანდიდატს ცალ-ცალკე განეხილა მათ მიერ შესასრულებელი მომავალი საქმიანობა.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ რევაზ სოხაძეს, მისი განმარტებით, თბილისში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მერიის არქიტექტურის სამსახურის მიმართ საფუძვლიანი პრეტენზია არსებობს. მან მოუწოდა სხდომაზე დამსწრეებს, რომ მოსახლეობას კონკრეტულად აუხსნან, თუ რა რეფორმები იგეგმება აღნიშნული მიმართულებით, როდის დაიწყება და როგორ გადანაწილდება დროში.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ ლევან ხაბეიშვილს. იგი გამოეხმაურა ბატონ გელა ჩივიაშვილის პასუხებს და განმარტა, რომ ბატონი გელას პასუხის მიხედვით, გამოდის, რომ უფასო სასადილოებში შეჭირვებულთა ყოველდღიურად 3 ლარით დაფინანსება საკმარისია. მანვე რეპლიკით მიმართა ბატონ ირაკლი ზარქუას და აღნიშნა, რომ მის მიერ ხსენებული 48 ბაღიდან 40-ში დევნილები ცხოვრობენ და მათ გადაეცათ ეს შენობები.

მან შეკითხვა დაუსვა ბატონ სერგო ბირკაძეს, მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილ კანდიდატს და დაინტერესდა იღებს, თუ არა იგი პასუხისმგებლობას იმ პოლიტიკურ აქტებზე, რომლებსაც შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილებებით აუქმებდა და დედაქალაქის მერიას კონკრეტული თანხების ანაზღაურებას აკისრებდა, რაც მილიონობით ლარს შეადგენს. ანუ იღებს, თუ არა, იგი პასუხისმგებლობას საჯარო მოხელეების სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებაზე.

მანვე აღნიშნა, რომ მერიის დაპირებით უნდა შეჩერებულიყო ტროტუარებზე ობიექტების მშენებლობა, თუმცა მოცემული დროისთვის ზემო პლატოზე, ფაქტობრივად, სკვერში მიმდინარეობს კორპუსის მშენებლობა. იგი დაინტერესდა, უნდა შეიცვალოს თუ არა აღნიშნული ტენდენცია.

იგი, ასევე გამოეხმაურა ქალბატონი მარიკა დარჩიას წინასაარჩევნო განცხადებას, რომლის მიხედვით, თბილისში 20 მეტრო სადგური უნდა აშენდეს. ბატონი ლევანი დაინტერესდა ეს განცხადება შეცდომა იყო, თუ მერია მართლა გეგმავს 20 მეტრო სადგურის მშენებლობას 4 წლის განმავლობაში.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი გუნდის ხელმძღვანელმა, ბატონმა კახა კალძემ საზოგადოებისგან უპრეცედენტოდ მაღალი მხარდაჭერა მიიღო, შესაბამისად, ეს

მნიშვნელოვნად განაპირობებს წარმოდგენილი გუნდის მომავალ წარმატებას. ამ გუნდს აქვს ის კვალიფიკაცია და კომპეტენცია, რომ განახორციელოს მოსახლეობისთვის დანაპირები პროექტები და პროგრამები. მანვე აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით, გიორგი უგულავას ერთი ხელმოწერით, თბილისის 48 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი სამსახურიდან განთავისუფლდა, იმავე პერიოდში 200-ზე მეტი თანამშრომელი განთავისუფლდა სამსახურდან, დაიხურა 47 საბავშვო ბაგა-ბაღი და თბილისში, კიევის ქუჩაზე ერთ-ერთი ბაღის შენობაში გახსნილი იყო ნაციონალური მოძრაობის ოფისი, შესაბამისად, სირცხვილია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ საბავშვო ბაგა-ბაღების საკითხზე საუბარი.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ქალბატონ სიფიო ხუნწარიას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილ კანდიდატს და აღნიშნა, რომ მასთან უკვე ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა და მიესალმება აღნიშნულ თანამდებობაზე მისი წარდგენას.

ქალბატონი თამარის თქმით, 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო საქართველოს კულტურის სტრატეგია 2025, მისი თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ევროპული კვლევების მიხედვით, კულტურის სფეროში ინვესტიცია ოთხმაგ უკუგებას იწვევს. მაგრამ იმისთვის, რომ კულტურამ მოგვცეს სიკეთე და დოვლათი, საჭიროა არსებობდეს შესაბამისი სტრატეგიული ხედვები, პოლიტიკის დოკუმენტი. შესაბამისად, იგი დაინტერესდა, თუ რა პოზიცია და ხედვა აქვს ქალბატონ სოფიოს აღნიშნულ საკითხთან მიმართულებით.

მისივე განმარტებით, ქ. თბილისის მერიას დედაქალაქის სხვადასხვა რაიონებში აქვს არაერთი კულტურის დაწესებულება. ქალბატონმა თამარმა იკითხა, თუ რა ხედვები აქვს ქალბატონ სოფიოს ამ ობიექტების მოდერნიზებასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ წარმატება უსურვა მერიის მომავალ თანამდებობის პირებს, წარმოდგენილ გუნდს და განმარტა, რომ მათი წარმატება მნიშვნელოვანია, იმისთვის რომ თბილისი მომდევნო 4 წლის განმავლობაში იყოს წარმატებული.

აზრი გამოთქვა საკრებულოს წევრმა, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ. მისი თქმით, 2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო ასოცირების შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც, საქართველომ უნდა შეასრულოს რიგი ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, გარემოს დაცვით სფეროში. ეს მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება-დაცვას. იგი დაინტერესდა წარმოდგენილი გუნდის პოლიტიკით, ხედვითა და გეგმებით გარემოს დაცვის სხვადასხვა სექტორებში.

საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული უსახელო ქუჩების ერთიანი რეესტრი არ არსებობს, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. მისი თქმით, მისთვის ცნობილია, რომ დედაქალაქის მერია აპირებს აღნიშნულ საკთხებზე მუშაობას. იგი დაინტერესდა, თუ კონკრეტულად ვინ იმუშავებს

ხსნებულ საკთხებზე თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიასთან ერთად და როდიდან დაიწყება პრობლემის მოსაგვარებლად აქტიური მუშაობა.

სიტყვა გადაეცა ბატონ შალვა ოგბაიძეს, საკრებულოს წევრს. მან მადლობა გადაუხადა ბატონ ლევან ჯღარკავას და ბატონ გივი კულბაშვილს გლდანში, წყაროს ქუჩაზე სანათების დამონტაჟების სამუშაოების დაწყებისთვის. მისივე თქმით, წინა დღესვე ჩაირთო ზაჰესის ხიდის განათება. ბატონი შალვას განმარტებით, მოსახლეობის დაკვეთაა, რომ საგზაო მოძრაობა უფრო უსაფრთხო გახდეს. მან იკითხა, თუ რა გეგმები აქვს თბილისის მერიას ე.წ. ,,ზებრა-გადასასვლელების'' მონიშვნაზე, შუქნიშნების დამატებასა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის რაოდენობის ზრდაზე. ბატონი შალვას თქმით, ასევე მოსახლეობის დაკვეთაა საზოგადოებრივი მოსაცდელების დამონტაჟება სხვადასხვა ტერიტორიებზე; აგრეთვე, გლდანში, ბაღნარისა და ბიჭვინთის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგება.

ბატონმა გელა ჩივიაშვილმა ღვიძლის ტრანსპლატაციასა და ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგთან დაკავშირებულ აღნიშნა, რომ დათვლილია, თუ რამდენმა ბენეფიციარმა შეიძლება ისარგებლოს აღნიშნული პროგრამებით. ბოლო ორ წელიწადზე მეტია საქართველოში ტარდება ღვიძლის გადანერგვის ოპერაციები. თუ დღემდე აღნიშნული პროგრამით ფინანსდება დაახლოებით ათი პაციენტი, მერიის სურვილია, რომ ეს რიცხვი გაიზარდოს. ფარისებრი ჯირკვლის სკირინგთან დაკავშირებით, მან აღნიშინა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მისი ადრეულ სტადიაზევე გამოვლენა და მკურნალობა, ამ სერვისით ისარგებლებს რამდენიმე ათასი ქალბატონი. აღნიშნული პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის ბიუჯეტის 2 მლნ. ლარით გაზრდის შემთხვევაში. ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ბატონმა გელამ განმარტა, რომ თბილისის მერია 2016 წლის აპრილიდან ჩართულია ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამაში და მერიას აქვს საცხვრებელ ბინაზე პაციენტების 24 საათიანი მონიტირონგის პროგრამა, რომელიც 400 000 ლარით ფინანსდება. ამას გარდა, მერია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, მონაწილეობს შესაბამისი სამედიცინო სტანდარტების შემუშავებაში. მან ასევე, უპასუხა მედიკამენტების გაცემასთნ დაკავშირებულ შეკთხვებს. მისი თქმით, თბილისის მერია მედიკამენტების გაცემას აფინანსებს ,,სხვადასხვა სოციალური დახმარების'' პროგრამიდან. სასწრაფო დახმარების ბრიგადებთან დაკავშირებით, ბატონმა გელამ განმარტა რომ ეს დანაყოფი არის დამოუკიდებელი მხარჯავი სუბიექტი. მის მიერ წარმოებული მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო პერიოდში უკვე გაკეთდა განცხადება.

შშმ პირებთან დაკავშირებულ ბატონმა გელამ აღნიშნა, რომ 2-3 წლის განმავლობაში უკვე დაწყბულია სამი მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც ბავშვებსა და უსინათლო პირებზე ვრცელდება. დღეისათვის ათასამდე სოციალურად დაუცველი შშმ ბავშვი იღებს ფულად ანაზღაურებას, თუმცა მათი საჭიროებები გაცილებით მეტია. ისინი სარგებლობენ ჯანდაცვის სამინისტროს საყოველთაო დაზღვევის პაკეტით, ამასთან, შეყვანილნი არიან თბილისის მერიის ,,სხვა სოციალური დახმარების'' პროგრამის პრიორიტეტულ ჯგუფში.

ამავე ჯგუფშია ის შშმ პირები, რომლებიც სოციალურად დაუცვლენი არ არიან. შესაბამისად, ამ სტატუსით გადარჩევა არ ხდება.

სახელოვნებო და სპორტულ სკოლებთან დაკავშირებით, ბატონმა გელამ განმარტა, რომ ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა აღნიშნული პროგრამის დაფინანსება, ასევე იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ამ სერვისით. დაახლოებით 1500 ბავშვი იღებს დაფინანსებას სპორტულ და საცურაო აუზებით სარგებლობაზე. ბიუჯეტის გადამუშავების შემდეგ, შესაძლებელია ამ მიმართულებით გარკვეული კორექტირების განხორციელება.

მარინა დათუკიშვილის, რევაზ სოხაძის და ერეკლე კუხიანიძის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა ქალბატონმა მაია ბითაძემ. მისი თქმით, თბილისში ურბანული განაშენიანების ქაოსი არ დაწყებულა დღეს და გუშინ, ეს წლების წინ მოხდა. შესაბამისად, ვისაც საჯარო სამსახურში უმუშავია, მას კარგად უნდა ესმოდეს, რამდენად რთულია გაფუჭებული საქმის გამოსწორება, ისევე როგორც ძველი შენობის გადაკეთება. მისი თქმით, ძალიან რთულია სივრცითი განვითარების სწორად განხორციელება, როდესაც რეკრეაციული ტერიტორიები გაყიდულია, ეკონომიკური განვითარების ლოზუნგით მრავალი მცდარი გადაწყვეტილება იქნა წლების განმავლობაში მიღებული. ქალბატონი მაია ბითაძის თქმით, მერიის წარმოდგენილი გუნდის მოტივაცია დიდია, რადგან ბოლო წლების განმავლობაში ბევრ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, განსაკუთრებით, 2014 წლის შემდეგ, როდესაც საქართველომ მოახდინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება. აღნიშნული ხელშეკრულების ვალდებულებები თბილისსაც ეხება და მათი შესრულება ადგილობრივ დონეზეც განხორციელდება, მათ შორის, არქიტექტურული მიმართულებითაც. მისივე თქმით, ბატონი გიგა გიგაშვილი, რომელიც თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსადაა წარდგენილი, ერთი წლის განმავლობაში ჩართული იყო სხვადასხვა გარემოსდაცვით პროექტებში, შესაბამისად, იგი კვალიფიციურია ამ კუთხით.

საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებულ შეკთხვას უპასუხა ბატონმა გიგა გიგაშვილმა, მისი განმარტებით, როგორც კი დაბრუნდა საზღვარგარეთიდან, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მუშაობდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ და უწევდა მნიშვნლეოვან ინფრასტრუქუტრულ პროექტებზე ნებართვების გაცემა, მონაწილეობდა გარემოს დაცვის სტრატეგიის შეფასებაში, აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება საქართველოს ცენტრალური მთავრობისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ გარემოსდაცვით პროექტებთან მიმართებით. სწორედ ამ გამოცდილების გამოყენებას აპირებს თბილისის მერიაში მუაობის პერიოდში.

სიტყვა გადაეცა ქალბატონ სოფიო ხუნწარიას. მან აღნიშნა, რომ დიდი ხანია კულტურის სფეროში მუშაობს და ძალიან კარგად იცნობს, იმ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომელიც დღეს აქვს დედაქალაქს. მისივე განმარტებით, მედიასფეროში იგი წლების განმავლობაში მუშაობდა და მედია ყველაზე კარგად გრძნობს კულტურის სფეროს პულსაციას და გამოწვევებს. მისი განმარტებით, საქართველოს კულტურისა და ძელგთა დაცვის

სამინისტროს მიერ მიღებული კულტურის სტრატეგიის (2025) მსგავსი დოკუმენტი თბილსიის მერიას ჯერჯერობით არ გააჩნია, მაშინ, როდესაც იგი ძალიან მნიშვნელოვანია ეტაპობრივი განვითარებისათვის. მან აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, თბილისის საკრებულო მუშაობს ხსენებულ დოკუმენტზე და აქვე მოუწოდა საკრებულოს ოპოზიციურ წარმომადგენლობას ჩაერთონ ამ დოკუმენტის მომზადებაში.

ქალბატონმა სოფომ აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტს ექვემდებარება სახელოვნებო სკოლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, თეატრები და სხვა ობიექტები. შესაბამისად, გაგრძელდება მათი რეფორმირება. სჭიროა მათი ვიზუალური განახლება, ასევე სახელოვნებო სკოლებისათვის ახალი სასწავლო გეგმების შემუშავება, არსებული მეთოდიკის გადახედვა. მისივე განმარტებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური დაეხმარება აღნიშნული სასწავლებლების ხელმძღვანელებსა და პედაგოგებს, რომ ახალი სტანდარტები სწორად და სწრაფად დანერგოს ამავე დაწესებულებებში.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გიორგი ტყემალაძემ, თამარ ტალიაშვილმა, გოგა გაბაშვილმა, ბექა დავითულიანმა, ლევან ხაბეიშვილმა, ირაკლი ნადირაძემ, მარინა დათუკიშვილმა, ირაკლი ზარქუამ, დავით უთმელიძემ, ლევან ჯაფარიძემ, ირაკლი ხმალაძემ, ნიკოლოზ ჭონქაძემ, მაია ბითაძემ, გელა ჩივიაშვილმა, რიმა ბერაძემ, გიორგი ბაგრატიონმა, ვლადიმერ ჭიღლაძემ, სერგო ბირკაძემ, გიგა გიგაშვილმა, ფრიდონ ინჯიამ, რევაზ სოხაძემ, ერეკლე კუხიანიძემ, თინათინ ნიბლოშვილმა, შალვა ოგბაიძემ, სოფიო ხუნწარიამ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლის;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლისა და
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლის

თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატურებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (წერილი №12-031731944-03; 15.11.2017 წ.) შესაბამისი განკარგულებების პროექტების დადებითად შეფასებისა და განსახილველად საკრებულოსთვის გადაცემის შესახებ.

მომხრე ---------- 9
წინააღმდეგი ---------- 1 (ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)
თავი შეიკავა ---------- 0

განათლებისა და კულტურის კომისიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატების ბიოგრაფიული მონაცემების, მათი სამუშაო გამოცდილებისა და მათი სამომავლო ხედვების შესახებ ინფორმაციის მოსმენის,

განხილვისა და მსჯელობის შედეგად, კენჭისყრის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ: კომისია დადებითად აფასებს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლის;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლისა და

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლის

თანამდებობებზე წარდგენილ კანდიდატურებს და მხარს უჭერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (წერილი №12-031731944-03; 15.11.2017 წ.) შემდეგი განკარგულებების პროექტების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე გატანას:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსად გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

3. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსად გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' '' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

5. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად გივი კუბლაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

6. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად გიორგი ბაგრატიონის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

7. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსად გიორგი პაპავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

8. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსად ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად მამუკა მუმლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

11. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსად ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსად სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსად სოფიო ხუნწარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

14. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ გიგა ნიკოლეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

15. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

16. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ (ვიცე-მერად) ირაკლი ხმალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

17. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ მაია ბითაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლად გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

19. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლად დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

20. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლად ლევან ჯაფარიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

21. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლად ნოდარ ტურძელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

22. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლად ირმა ზავრადაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

23. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლად ზურაბ ჩიკვილაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

24. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლად ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

25. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლად ირაკლი ხელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

26. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლად კახაბერი ლაბუჩიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

27. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლად დავით კერესელიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

2. დღის წესრიგის მეორე საკთხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკთხი ,,ბადრი გიორგაძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ. **(წერილი: №19-031732038-03; 16.11.2017)**.

მომხრე ---------- 9
წინააღმდეგი ---------- 1 (ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)
თავი შეიკავა ---------- 0

განათლებისა და კულტურის კომისიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის ბიოგრაფიული მონაცემების, მისი სამუშაო გამოცდილებისა და სამომავლო ხედვების შესახებ ინფორმაციის მოსმენის, განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ: განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბატონი ბადრი გიორგაძის არჩევის საკითხს და მხარს უჭერს ,,ბადრი გიორგაძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის **(წერილი №19- 031732038-03; 16.11.2017)** გატანას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი ----------